სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიპმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიის.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)

სასეირნო ბაღი

**არმაზი**

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია **ფარდულები და ოთახები.**

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

**ყველაფერი იაფად**

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—22) ქ. ჩხარტიშვილი

## მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების

დეპოს გამგეობა სთხოვს დეპოს წევრებს მობრძანდნენ **ს. ქვემო-მაჩხაანში აგვისტოს 2-ს, კვირას, დილის 8 საათზე, დეპოს დარბაზში** წლიურ კრებაზე დასასწრებლად.

საგანი კრებისა:

I. დეპოს ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

II. სხვა-და-სხვა ღონის-ძიებათა დასახელება დეპოს წევრთა და მუშტართა გამრავლებისათვის და თანხა-აღებ-მიცემობის გაძლიერებისათვის:

III. მომავალ წლისათვის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო გეგმის განხილვა;

IV. შარშანდელ კრებისაგან აღმორჩეულ კომისიის დადგენილობათა მოსმენა და დამტკიცება.

V. გამგეობა-რევიზიის წევრთა აღმორჩევა;

VI. სოფლის მეურნეთა სხვა-და-სხვა ჭირნახულისათვის სამაზრო ამბარსაწყობთა დაარსების შესახებ ყველას აზრთა მოსმენა.

დეპოს გამგეობა { დ. ნადირაძე, დ. ჯავაშვილი, ი. გომელაური

(3—2)



## „ბავშვების მოკეთის" შესახებ.

აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. — ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის" რედაქციაში.



**წიგნი „ბავშვების მოკეთე" მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადგენილია მთავრობის მიერ.**

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.

(50—22) პატივისცემით ალ. ნათაძე.

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს ქალისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.

(100—32)

## ექიმი
### ჟ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც

ცხოვრება დიდისა მოწამისა

## იაკობ დაჭრილისა

(სურათით)

გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა

**ფასი ერთი შაური** (10—7)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ზ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

24 ივლისი.

**ვაშინგტონი.** ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ისპანიის პასუხი ზავის პირობებზე ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

**ბერლინი.** რადგან დღეს წირვაა ბისმარკის სულის მოსახსენებლად, ამის გამო დაკეტილია ყველა ბანკები, მრავალი მაღაზია და დუქანი; სახლებზე ამართულია ნახევრად ჩამოშვებულია ბაირაღები; ბევრი სამგლოვიაროა; მაღაზიები მორთულია სამგლოვიაროდ; გამოფენილია განსვენებულის სურათები და ბიუსტები, რომლებიც მორთულია გვირგვინებით და ყვავილებით.

**მადრიდი.** საგასტამ, რომელსაც დაეკითხნენ ზავის შესახებ, სთქვა, რომ მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ ორივე მთავრობა, ვაშინგტონისა და მადრიდისა, ვალდებულია სრული თავდაჭერილობა დაიცვას.

**ბერლინი.** დილით იმპერატორის ვილჰელმის სახსოვრად აგებულ ეკკლესიაში გადაიხადეს წირვა ბისმარკის სულის მოსახსენებლად, იმპერატორისა, მისი მეუღლისა, პრინცესისა, პრინცესებისა, სადიპლომატიო კორპუსისა და უმაღლეს სამოქალაქო, სამხედრო და ქალაქის მთავრობის თანადასწრებით. ეკკლესიის წინ იდგა საპატიო დარაჯი. წირვის წინ და ბოლოს იგალობა სიოპერო ხორომ. მღვდელმა ლოცვის დროს მოიხსენა ბისმარკის მაღალი ღვაწლი.

## ახალი ამბავი

*** არქიმანდრიტი კირიონის კურთხევა ეპისკოპოსად. გუშინწინ გაზეთ „კავკაზში" იყო მოხსენებუ-

ლი, არქიმადრიტი კირიონი ხელდასხმულ იქნება ალავერდის ეპისკოპოზად 15 აგვისტოს. თუმცა ესრე სურდათ როგორც მათ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს ფლაბიანეს და არქიმადრიტ კირიონს, მაგრამ ოცდა ოთხს ამ თვეს პირადის მოლაპარაკების შემდეგ გარდასწყვიტეს, რომ სახელ-წოდება იქმნება შაბათს ოცდა-ორ აგვისტოს და ხელდასხმა ეპისკოპოსად კვირას, ოცდა სამს, რადგანაც 15 აგვისტოს ვერ მოხერხდებოდა იმიტომ, რომ ამ დღეს თვით სიონის ტაძარის დღესასწაულია და უიმისოთაც აუარებელ ხალხს, კიდევ დაემატებოდა მსურველნი ხიროტონიაზე დასწრებისა და არამც თუ თვით ტაძარში, ახლო მახლო ქუჩებშიაც აღარ დაეტეოდა ხალხი,

⁂ **ქალაქის შუამდგომლობა.** ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ა. ა. ივანენკომ შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ქალაქს, თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, უწოდოს როგორც სამს ახლად გახსნილს სკოლას, აგრეთვე ექსარხოსის მოედნიდან სიონის ქუჩისაკენ მიმავალს ქუჩას, ირაკლის სახელი, საქართველოს მეფის ირაკლი მე-II-ს გარდაცვალების დღიდან ასი წლის გასვლის სახსოვრად.

⁂ **პოლიტეხნიკუმის საქმე ტფილისში.** „ტფ. ფურც.“-ს აუწყებენ რომ სახალხო განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ტ. ს. ანოპოვი მომავალ თვეში ტფილისში ჩამოვა. ანოპოვის ჩამოსვლას კავშირი აქვს ქალაქის შუამდგომლობასთან ტფილისის პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

⁂ **სოხუმის ოლქის საქმე.** გაზ. „ჩერნ. ვესტ.“-ს „ფრიად სარწმუნო წყაროებიდან“ გაუგია, რომ მთავრობას კითხვა აღუძრავს იმის შესახებ, რომ სოხუმის ოლქი, რომელიც ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში შედის, შეუერთდეს შავი ზღვის პირის გუბერნიას.

⁂ **მეშჩანთა არჩევნები,** რომელიც დღეისთვის იყო დანიშნული, გადადებულ იქმნა.

⁂ **ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი,** ეპისკოპოსი გორისა, დღეს, 26 ივლისს, სწირავს მეტეხის წმ. შუშანიკას ეკკლესიაში; წირვაზე იგალობებს ორი გუნდი მგალობელთა.

⁂ **ოზურგეთის მოურავის შუამდგომლობა.** ქ. ოზურგეთის მოურავს ამ ჟამად შუამდგომლობა აქვს აღძრული ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანის შესახებ ნატანების სადგურიდან ოზურგეთამდე.

⁂ **შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა ოზურგეთში.** ქ. ოზურგეთში განზრახვა აქვთ დაარსონ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ამხანაგობის დამფუძნებელთა მიერ შემუშავებულ წესდების პროექტი უკვე წარედგინა სამინისტროს დასამტკიცებლად. ამ ჟამად, როგორც ისმის, რადგან ამ პროექტის ზოგიერთი პარაგრაფი არ ეთანხმება ნორმალურ წესდებას, ამის გამო იგი დაებრუნება უკან დამფუძნებელთ შესაცვლელად და შესავსებლად.

⁂ **გზის გაფუჭება.** ფოთიდან 11 ვერსის მანძილზე 23 ივლისს გაფუჭდა გზა, 100 საჟენის სიგრძეზე, რის გამო საქონლის მატარებელთა მოძრაობა შეწყვეტილია ხოლო სახალხო მატარებელთა მოძრაობა-კი სწარმოებს გადაჯდომით.

⁂ **რკინის გზების საქმე კავკასიაში** გაზ. „ჩერნ. ვ.“ სწერს: ამ წლის დამლევი, ან-და მომავალი წლის დამდეგი მაინც, აღინიშნება კავკასიისათვის დიახ თვალ საჩინო ცვლილებით: ამიერ-კავკასიის რკინის გზა შეუერთდება მთელი რუსეთის რკინის გზების საზოგადო ქსელს. კავკავის რკინის გზის მმართველობას აზრად აქვს მოჰფინოს მთელი კავკასია, შავი ზღვის პირთან ერთად, რკინის გზებით და ამ აზრს იგი თან და თან ახორციელებს. ამ ჟამად გახურებული მუშაობა სწარმოებს ბალაჯარის სადგურიდან პეტროვსკამდე (დარუბანდზე), რკინის გზის გასაყვანად, რომელმაც ამიერ კავკასიის რკინის გზა უნდა შეუერთოს კავკავის გზას. ამ გზების ასეთი შეერთების წყალობით გაიმართება პირდაპირი მიმოსვლა კავკასიის უმთავრეს ქალაქებსა (ბათომსა. ტფილისსა და ბაქოს) და როსტოვს, აგრეთვე მდ. ვოლგას შორის. კავკავის გზის შემწეობით გაიმართება აგრეთვე პირდაპირი მიმოსვლა (გადაუჯდომელად) ბათომიდან და ტფილისიდან მოსკოვამდე. გარდა ამისა სატახტო ქალაქებიდან ფოსტა კავკასიაში საქართველოს სამხედრო გზით კი აღარ მოვა ხოლმე, არამედ პეტროვსკ-ბალაჯარიდან ივლის. თუმცა მგზავრობისა და ფოსტის მიმოსვლისათვის ახალი გზით იმდენივე დრო იქნება საჭირო, რამდენიც ახლა, სამაგიეროდ გზის ფასი უფრო იაფი იქნება. პეტროვსკ-ბალაჯარის გზის დამთავრების შემდეგ განზრახვა აქვთ გაიყვანონ რკინის გზა სოხუმიდან ახალ-სენაკამდე და შემდეგ კი სოხუმიდან ტიხორეცკამდე.

ყველა ამ გზების გაყვანა, რა თქმა უნდა, დიდად შეუწყობს ხელს კავკასიის ეკონომიურად განვითარებას.

⁂ **შეცდომის გასწორება.** გუშინწინდელ ნომერში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ არხიმანდრიტი კირიონი თელავის წ. ნინოს ქალების სასწავლებელში ასრულებდა ზედა-მხედველის თანამდებობასაო; უნდა იყოს, რომ ზემოხსენებულ სასწავლებელში არხიმანდრიტი ასწავლიდა რუსულ სამოქალაქო ისტორიას.

მეორე შეცდომა, რომ არქიმადრიტი კირიონი თბილისის სქალებო ეპარქიალურ სასწავლებელში ასწავლიდა რუსულ ენასაო, უნდა იყოს: ზემოხსენებულ სასწავლებელში ის ასწავლიდა ქართულ ენას.

⁂ **საჭირო განმარტება.** ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ ჩემ წერილს: თქვენსავე გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე 586 №-ში წავიკითხე სადგ. სუმბათოვიდამ პატარა ამბავი, სადაც სამდურავი სწერია ადგგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისადმი, საიდამაც, თურმე, ხელის მომწერნი ხან დროზე ვერ იღებენ ჟურნალ-გაზეთებს და ხან სამუდამოდ ესალმებიან მათ. რწმუნებული მიხაილოვის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, როგორც უფროსი კონტორისა, მოვალე ვარ სიმართლის აღსადგენათ პასუხი გავცე. „ცნ. ფურცელს“. ჩვენ ტფილისიდამვე მიხაილოვში—ხაშურში ცოტა დრო გამოშვებით ვიღებთ ხოლმე, ხან კვირა უქმეების მიზეზით, რომლის შემდეგაც გაზეთი არ გამოდის და ხან კი ჩვენდა გაუგებელ მიზეზთა გამო. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ რა დროსაც კი მივიღებთ, მაშინვე დაუყოვნებლივ ვგზავნით მხოლოდ მარტო ბანდეროლის ამარა, შეუხვევლად და დაუბეჭდავათ, და ზეთ იმ დღის ბეჭედს ვასვამთ, რა დღესაც ვგზავნით, ასე, რომ თუ ბ. იმ ამბის მომწერს ეს ბანდეროლები აქვს შენახული, ვსთხოვთ უმოჩილესად გამოგვიგზავნოს, რადგანაც ჩვენ ეს კარგ გასამართლებელ საბუთად გამოგვადგება. ამ გაზეთს ბ. ჩიტავას ხელითა ვგზავნით სადგ. სუმბათოვოზე და იქ რას უშვრებიან ამ ამ გაზეთს აგენტები, გადასცემენ ხოლმე ადრესატს, თუ თითონ კითხულობენ, ეს ჩვენ არ ვიცით. მაშასადამე, როგორცა სჩანს აქ ან რედაქციის ბრალი გხლებიათ, რომ დროზე ვერ გვაწვდის გაზეთს, ან ხელის მომწერლისა, რომ დროზე არ კითხულობს სადგურზე თავის გაზეთს და თუ ეს იმის საქმე არ არის, მაშინ იმ პირების, რომელნიც მოვალენი არიან დროზე გადასცენ ხოლმე ადრესატს კუთვნილი გაზეთი. ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის კონტორა კი, ე. ი. მიხაილოვისა სრულიად ღირსი არ არის იმ სამდურავისა, რომელსაც უცხადებს კორესპონდენტი, ვიმეორებ რედაქციის პირით, რადგანაც მე მიუხედავად ყველა ზემოთ მოხსენებულისა, საზოგადოდ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ კორესპონდენციის დროზე ჩაბარების საქმეს, ასე, რომ ასეთი საყვედური პირველია ჩემს აქ უფროსად ყოფნაში.

მიხაილოვის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ალექსანდრე სიმონის ძე მაჭარაშვილი

⁂ **დ. ხონი.** კვირას, 19 ივლისს, გარდაიცვალა პროვიზორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელსაც მცირე ღვაწლი არ მიუძღვის ხონელების წინაშე. ყოველ კეთილ საქმეში ბ-ნი კონსტანტინე ლორთქიფანიძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აქაურ უანგარო მუშაკთა ისედაც მცირე რიცხვს ეს ერთი კაციც გამოაკლო. („ივერია“)

⁂ **ს. სირიაჩქონი** (სამეგრელო). დუქნის გაძარცვა. ამ სოფელში დუქანი აქვს გამართული დ. ხაჯალიას. 18 ივლისს ბოროტ-მოქმედებმა გასტეხეს ეს დუქანი და 50 მანეთი ფულად და სხვა-და-სხვა საქონელი მოეპარათ. როგორც ხმა დადის, ქურდობაში მონაწილეობის მიღებას იმავე სოფლის მცხოვრებლებსაც აბრალებენ. ეს ამბავი ადგილობრივს ბოქაულს ტ. ასათიანს აცნობეს, რომელიც ცნობის მიღებისათანავე იქ მიიჭრა და შეუდგა საქმის გამოძიებას. ამგვარი არა სასურველი ამბები აქ იშვიათი არ არის და იმედია ახალი ბოქაული ბ-ნი ტ. ასათიანი ყოველსავე ამას რიგიანად და გულდასმით გამოიძიებს...

⁂ **ს. სახარბედიო** (სამეგრ.) ეკკლესიის გაძარცვა. თუმცა ქურდობა და ავ-კაცობა ჩვენკენ უწინაც-კი იყო, მაგრამ ეკკლესიის გატეხა და გაძარცვა აქაურ ქურდებს ფიქრადაც არ მოსვლიათ. ხოლო ეხლა მათ საუბედუროდ, ამ სამარცხვინო და ყოვლად მიუტევებელ საქმეშიაც გამოიჩინეს ღამის რაინდებმა თავიანთი „კაი კაცობა“. 17 ივლისს ს. სახარბედიოს წმ. გიორგის ეკკლესიიდან 7 მანეთი ფული მოეპარათ. დანარჩენი ეკკლესიის ვერცხლის ჭურჭლისათვის ხელიც არ უხლიათ. ეს ამბავი ადგილობრივს ბოქაულს აცნობეს, რომელიც მაშინვე საქმეს შეუდგა.

ტელეფონი

*** **ს. ოძისი** (ქართლი). მოსავალი. წელს აქეთ კარგი პირი აქვს ქირნახულს, ღვინო-კი ნაკლები უნდა იყოს, რადგანაც წრევანდელმა ყინვამ ძალიან გააფუჭა ვაზი, პური და სიმინდი, მადლობა ღმერთსა, ვისაც კი რამე ჰქონდა ნახნავი თავის დაკვალად, არა უჭირს რა. მოგეხსენებათ, გლეხკაცის საკუთრებას ის შეადგენს, რასაც კი ათას მოთხოვნილებას გადაანარჩუნებს. რა თქმა უნდა, აქაური ჩარჩები ფაცა-ფუცში არიან და ამზადებენ ჩანახსა და ტომრებს. ვაი იმათი ბრალი, ვისაცკი რამე მმართებთ იმათი. მივლენ და ერთ კოდში, კოდ ნახევარს ასჩაფავენ და უფრო მეტსაც. დიაღ, ეს პირველი მაგალითი არ არის ჩვენი ქართველი გლეხი ხალხისთვის, რომ ჩვენი წლის მოსავალი უფრო გარეშე პირთ ეკუთვნის და არა ჩვენა; მაგრამ ამის ასაცდენათ არას ვცდილობთ, პირიქით, ერთი საათის განმავლობაში კიდეც გვავიწყდება და რაიმე უბრალო შემთხვევის დროსაც იმათკენ გავრბივართ და ვხდებით იმათი ყმა და ლუკმა. აი მაგალითად: 15 აგვისტოს მოდის დღეობა, ეგრეედ წოდებული სამებობა, ანუ ოქროს-კარიანობა და ეხლავ სამზადისს შეუდგებიან ამ დღეობაში წასასვლელათ. სახლშიაც რომ არა მოეძეობოდეთ რა, ვალს აიღებენ და წავლენ კია საქეიფოდ.

მგზავრი

*** **ს. ქვემო-თეკლათი** (სამეგრელო) ეს სოფელი ერთი ისეთი მოსავლიანი ადგილთაგანია, სადაც უხვად მოდის ყოველგვარი მიწის მოსავალი, მაგრამ წელს-კი აქაურის მხვნელ-მთესველის ბედის ჩარხი ცუდმა ამინდებმა უკუღმა დაატრიალა. მხვნელ-მთესველმა ქირნახულის დათესვა დროზე ვერ მოასწრო გვალვების გამო. ამიტომ მაისის მაგიერ ივნისის თვეში გაცხარებული ყანების ხვნა-თესვა იყო გაჩაღებული, რაც იშვიათი ყოფილა აქეთ. ამგვარს ყანებს, რასაკვირველია, დროზე უნდოდა გამარგვლა, მაგრამ თითქოს ბუნებას შეშურდაო და გამარგვლაშიაც კი ეკან ჩამორჩნენ, რის გამო უმეტესი ყანები ამ ივლისშიაც გაუმარგლავია, მაშინ, როდესაც კვლავ ამ დროს სიმინდები ტაროთ იწყობოდა. აგერ საცაა ივლისიც თავდება და აქეთ წვეთი წვიმა რა არის არ ჩამოვარდნილა.

— **წყალში დამხრჩვალი.** შაბათს, 18 ივლისს, ერთი აქაურის მცხოვრების ნ. გა—ვას გასათხოვარი ახალგაზდა ქალიშვილი მდ. ცივმა იმსხვერპლა. საწყალი ერთის მისი ამხანაგი ქალით წასულა საბანაოთ. ჩასულა თუ არა, მაშინვე წყალს ჩაუძირავს.

*** **ახალ-სენაკი.** საქონლისათვის საბალახო ადგილის შეძენა. ამ დღეებში დაბის მამა-პატრონთ-დეპუტატებს, აქაურს მცხოვრებლებსა და მოვაჭრეებს მსჯელობა-თათბირი ჰქონდათ შესახებ იმისა, რომ შინაურ პირუტყვთა საბალახოდ შეისყიდონ ან იჯარით აიღონ რამდენიმე დღიური მიწა. ამ საგანზე კიდეც მოელაპარაკენ აქაურს მემამულეებს, ამათაც სრული თანხმობა გამოუცხადეს და უკვე აჩვენეს ადგილი. 12 ივლისს დაბის დეპუტატებმა და მცხოვრებლებმა ერთის მემამულის თანადასწრებით დანიშნული ადგილი დაათვალიერეს, მაგრამ ადგილი ქალაქიდამ კარგა მოშორებით არის, რის გამო ჯერ თავიანთი აზრი არ გამოუცხადებიათ მემამულეთათვის. სასურველი კია, რომ დაბის დეპუტატები ამ საქმეს უფრო გულ-მოდგინედ შეუდგებოდეს, მით უმეტეს, რომ ახალ-სენაკს მცხოვრებთა რიცხვი თანდათან ემატება, რომელთა შორის ღარიბებიც ურევია და პირუტყვთა ყოლა მათთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. ამასთანავე დაბაც სუფთა იქნება, რადგან საქონელი ქუჩაქუჩა აღარ დაიწყებს ხეტიალს საბალახოსთვის. ამიტომ ფრიად საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, თუ დაბის კეთილ-დღეობაზე ოდნავ მაინც იზრუნებს, აქაც თვისი ყურადღება მიაქციოს ამ ყველასათვის სასარგებლო საქმეს, თორემ სიტყვა მუდამ სიტყვად დარჩება და საქმე-კი ვერაფერი გაკეთდება!

ტელეფონი

*** **დ. ხობი.** ბორნის გამო პასუხი. ბ-ნო რედაქტორო! რადგან ამ ბორნის შესახებ მე გახლავართ მთავრობის და საზოგადოების წინაშე მოპასუხე, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ სიმართლის აღსადგენად ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს მცირე პასუხს, როგორც წესია. „ცნ. ფურც.“-ს 572 №-ში დაბეჭდილია დ. ხობიდან წერილი „მებორნის თავ-გასულობა“. ყველაფერი, რასაც კორესპონდენტი იწერება, სიმართლეს მოკლებულია, რადგან ბევრი სხვებიც, სამსახურის პირები და „ინტელიგენცია“ ამ ბორანზე და ხიდზე ხშირად გადადიან, მაგრამ არც ერთს მათგანს არ შეუნიშნავს ის ნაკლი და „მებორნის თავ-გასულობა“, რასაც ბ-ნი ვანო ლოლუა სწერს. თუ რომ მართალი ყოფილიყო, დაასახელებდა: როდის, ვისთან, ვის რა შეხვდა ჩემგან დაყენებულ მებორნეებისაგან? ბორანის და მისი მასალების შესახებ თამამად ვიტყვი: ზუგდიდის და სენაკის მაზრაში ჩემს ბორანზე უკეთ-ესი ბორანი არსად არ არის, მაგრამ „ვისაც არ უნდა ქვიშაზე ქვასაც არ დაინახავსო“ ნათქვამია, როგორც ამას ამტკიცებს თვითონ ბ. ვანო ლოლუას წერილიც, ერთად ერთი მისი ღრმა ძილში გამოურკვეველი სიზმარი, ჩემზე პირადი უკმაყოფილებისა გამო და არა ხალხის ინტერესისათვის გამოწვეული...

აზნ. ალექსანდრე ჯორჯიკია

*** **სოფ. ქარელი** (ქართლი). უბედურება უბედურებაზე. ქვეყანაზე ბევრი რამ უბედურება ხდება, და რაც კი ხდება, რომელსამე დ. სოფლებში, იგი იშვიათად თუ რომელსამე ჟურნალ-გაზეთებში, გულ-მტკივანმა იმ დაბა-სოფლის მკვიდრმა რომელიმე კორესპონდენტმა არ გამოაცხადოს, იმავე დაბა-სოფლების კარს მიმდგარი ჭირ-ვარამი, და მით მთავრობისაგან არ მოითხოვოს დახმარების სახსარი. მაშ ჩვენ რაღა დაგვმართვია და რა ენისა და მაჯის სიდამბლის ქარს შეუპყრივართ, რომ ჩვენც ჩვენის, ბეჩავ დავრდომილს სოფლების უწყალო მწარე გაჭირვებულ მდგომარეობას, არ ავწერთ და არ ვგზავნით გაზეთებში გამოსაცხადებლად?

ამიტომ ვერ ვგზავნით და ვერ ვაცნობებთ, პატივცემულ რედაქტორს ჟურნალ-გაზეთობისას, რომ ზოგიერთა ჩვენი ახლო-მახლო სოფლების მუქთა-ყლაპია, ზარმაცმუცელ ღმერთანი და ბახუსის ღრმად თაყვანის მცემელნი, მაშინათვე ჩვენ გვიწოდებდნენ გაზეთის მეჭორედ.

თუმცა კი მართლა სულ ამ წამხდარი ზნე თვისების რაინდები არ არიან ჩვენს სოფლებში, და არიან ისეთნიც, რომელთაც ესმით ამ წუთის სოფლის ავ-კარგი.

თორემ დიახაც, რომ ღირსია ჩვენი ყოველივე კარს მომდგარი და აუტანელი ჭირ ვარამი, გაზეთის საშუალებით ვაცნობოთ ყველას. დღე და წელიწადები ისე არ გაივლიან, რომ ჩვენკენ და ჩვენს სოფლებში თითო რამ უბედურება არა მოხდეს რა. განსაკუთრებით, უფრო-კი დღე ღამის რაინდების წყალობით და ჩვენც მათ უგვან მოქმედებისათვის ისე შეგვიჩვევია თვალი და ყური, რომ მათ წინააღმდეგ ვერაფერი ვერა მოგვიგვარებია და ვერავითარი წამალი ვერსაიდან ჩვენის შევიწროებულის მდგომარეობისათვის ვერ დაგვიდვია და მარტო ღმერთზეა მინდობილი ჩვენი უკანასკნელი იმედი. აი თუნდა მოვიგონოთ თ. თომა ციციშვილის გაძარცვა.

ეს სამწუხარო ამბავი მოხდა შუაღლისას, რომელსაც თავს დაესხნენ რამდენიმე პირ-ახვეული ყაჩაღები თათრის ქარიმას სახელით მონათლულნი დღე ღამის რაინდნი და მთელი ძვირფასი საცხოვრებელი თომა ციციშვილისა გაიტაცეს და დღემდის უნუგეშოთ მიმალული იმდენი სიმდიდრე ჩაილულის წყალის დალევინებად ითვლებოდა. დღეს კი რაღაც შემთხვევით კნეინა ბაბალე ციციშვილისამ იპოვა კნეინა ეკატერინე ხერხეულიძის ასულის ციციშვილის ხელზე.

კნეინა ეკატირინე ციციშვილისა, რასაკვირველია იტყვის, თუ ვისგანაც ის ბეჭედი იყიდა და მის გამყიდველს ხელში მისცემს მას, ვისიც ჯერ არს.

იმავე ღამის რაინდებთაგან იყო აკლებული სახლი კონსტანტინე მალიევის ქვრივისა. სანებელში ამ რაინდებთაგან იყო აკლებული მღვდლის სეით თავდგირიძის ოჯახი, ს. ხვედურეთში ამათგან იყო აკლებული ივანე დავითის ძის ციციშვილის სახლი, და მათთან კიდევ რამდენი ურიების ფარჩა-ცხენები ს. ქარელში და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი გლეხის საქონელი და ცხენი გაირეკეს. ეს ღამის რაინდათ წოდებული დატყუილ ქარიმას სახელით მონათლულნი, დიდი ხანია, რაც ასე თავისუფლათ დათარეშობენ ჩვენკენ, მაგრამ არ იქნა და ვერსად ვერ გაუყარეს მარყუჟ ხაფანგში ფეხი, რომ მათ ასე შეუპოვრად ნავარდს, დროზე ბოლო მოეღოს და ღმერთმა გვაღირსოს, რომ ადრე და მალე, მათ სანავარდოთ „სახალინის კუნძულს“ აქეთ ფეხი აღარ გადმოედგათ და იქ დამკვიდრებულიყვნენ სამუდამოთ.

თევსირა ქოძიფელი

*** **ს. ბედია** (სამურძაყანო). დიდი ხანი არ არის, რაც ს. ბედიაშიდ ააშენეს ეკლესია კნ. ალექსანდრა გრიგოლის ასულის შერვაშიძის ხარჯზედ—მან იკისრა ამ საქმის შესრულება და შეასრულა კიდეც. მანვე კნ. შერვაშიძისამ აღძრა ლაპარაკი ს. ებერაში სკოლის დასაარსებლად. დედა-შვილურის დარიგებით და ჩაგონებით დაარწმუნა გლეხები, თუ რამდენათ საჭირო და სასარგებლოა სკოლა. მცხოვრებლები დაითანხმა და აღუძრა სურვილი ამ ფრიად სასარგებლო საქმისადმი. თავის მხრით შესწირა სასკოლო ადგილი და აღუთქვა ყოველ წლიურად ფულად დახმარება. უსურვებ ამ კეთილს ადამიანს სიცოცხლეს, რომ უფრო მეტი ნაყოფი მოგვცეს და ვინატროთ ჩვენს დაბა-სოფლებში გამრავლებულიყოს ასეთი მოღვაწე ქალები, მიებაძოთ კნ. შერვაშიძის მაგალითისათვის და მიზნათ აელოთ შრომა და არა მუქთად ყოფნა და ჭორების გადაცემ-გადმოცემაში დროს გატარება.

დროებით მოსული.

⁂ **ს. უხუთი** (იმერეთი). სწავლა-განათლების მდგომარეობა. უხუთი მდებარეობს ქუთაისიდან ოცდა ექვსის ვერსის მანძილზე; აქეთ ნამუშევარი უხვად მოდის, მაგრამ სწავლა-განათლების შუქი კი ჯერ ვერ მოგვწვდენია. აქეთ თითქმის ორ-სამს სოფელში ერთს სამრევლო სკოლასაც კი ვერ იპოვით. და მცხოვრებთა შორის, კარგი უნდა, რომ ასში ერთმა იცოდეს წერა-კითხვა. ყველა სოფლიდან იწერებიან გაზეთებში დავაარსეთ სკოლები, წიგნთ-საცავ-სამკითხველოები და სხვაო, ჩვენში კი სამკითხველო სახელადაც არ გაუგონიათ.

— **შირნახულის მოსავალი.** აქაური მცხოვრებნი სიხარულით შეჰყურებდნენ შარშანდელს, შემოდგომის ნამუშავარს, ვინაიდან ყველა ბევრს ჰინახულს მოელოდა, მაგრამ დალოცვილმა ზამთარმა უდროვო-დროს მოუსწრო ხალხის ნამუშავარს და დიდათ დააზიანა. სიმინდის და ღვინის შეუნახველობამ დიდს განსაცდელში ჩააგდო აქაური მცხოვრები. ბოლოს თუმცა შეინახეს ნამუშავარი, მაგრამ რასაც მოელოდნენ, იმის ნახევარი ძლივს იშოვეს.

აიწია თუ არა აქეთ სიმინდის ფასმა და ჩვენში სოფელმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი, დიდათ გაეხარდათ: ეგონათ, ახლა მაინც დატრიალდება ცოტაოდენი ფული ჩვენს სოფელშიო. მაგრამ სანამ სიმინდის ფასის აწევის ამბავს კარგად შეიტყობდნენ და თვალს გაახელდნენ, მანამ ისევ დაიწია ფასმა და ისევ დაღონდა ხალხი. წელს ჯერ-ჯერობით სიმინდის ყანებს კარგი პირი უჩანს, ღვინის მოსავალი კი თანდათან კლებულობს. წრევანდელ ღვინის მოსავალს ისევ შარშანდელს ამჯობინებენ.

⁂ **ს. რომანეთი.** დღეობა. უხუთის მომიჯნავე სოფელი არის რომანეთი, სადაც ცხოვრობს რამდენიმე კომლი გლეხ-კაცობა, რომელთა შორის ორმა გვარმა: ხელაძეებმა და გიორგაძეებმა ელოიბის დღეობა იციან, ამ დღესასწაულზე თითქმის 4—5 სოფლიდან მოდიან სალოცავათ რომანეთის ეკკლესიაზე. ამ ეკკლესიის უნუგეშო მდგომარეობა თუმცა აწერილი იყო ერთ ქართულ გაზეთში, მაგრამ აქაურმა მოძღვარმა ყურიც არ გაიბერტყა. ეს დღესასწაული უჩხუბრად და კაცის დაუჭრელად არ ჩაივლის, მაგრამ წელს საბედნიეროდ ჩხუბი არ მომხდარა.

რომანეთელი სანდრო

## რედაქციისაგან

—

**ქუთაისში.** ბ. არტემ ანჯაფარიძეს. თქვენი წერილი განცხადება— რეკლამაა და არა კორესპონდენცია. თუ გნებავთ, გამოგზავნეთ ხუთი მანეთი და უკანასკნელ გვერდზე გამოვაცხადებთ.

**სურამში.** ბ. ი. რ—შვილს. თქვენ იწერებით, რომ აქაური მჭედლები მეტის მეტი ამაყები არიანო, «თავის თავი «ოკროუჟნი სუდის» მწერალი ჰგონიათო!»

ჩვენის აზრით საამაყო რამ აქ სრულებით არაფერია. გადამწერალს მჭედელი სჯობია და სეკრეტრის თანაშემწეს უბრალო მაშინისტი.

**ბახმაროში** ლეხთურელს. დაბურულ ნისლში და ტყეში ხვევნა-კოცნის ამბავი კარგია, მაგრამ თქვენ რა? ან ჩვენ მკითხველებს რა?

## სხვა-და-სხვა ამბები

—

ნასწავლი ბოგანო ხალხი. გაზ. „სინ. ოტეჩესტვა“-ში სწერია შემდეგი საყურადღებო ამბავი. „ამ დღეებში ერთ ადგილობრივ მცხოვრებს (პეტერბურგში) ბ-ნს ნ—ვს დასჭირდა 70 თაბახი ქაღალდის გადაწერა, და ამის შესახებ მან განცხადება გააგზავნა გაზეთში დასაბეჭდად. განცხადება ჯერ კიდევ დაუბეჭდავი იყო, როცა გაზეთის გამოსვლის წინა დღით, საღამოხანს, ბ-ნ ნ—ვთან მივიდა რამდენიმე კაცი გადასაწერის გამოსართმევად: რომლებმაც ალბად გაზეთის სტამბაში მსახურ ნაცნობთაგან გაიგეს განცხადების შინაარსი. მეორე დღეს კი ბ-ნს ნ—ვს თავს დაესხნენ აუარებელი მთხოვნელები და, ბოლოს და ბოლოს, რომ შეწუხება თავიდან აეშორებინა, მან კარებზე გამოაკრა განცხადება, გადამწერი უკვე დავიჭირეო. მიუხედავად ამისა. მის ბინას კიდევ ორი დღის განმავლობაში ეხვივნენ გარს გადასაწერის მიღების მწყურვალედ მსურველები. სულ, ბ. ნ—ვის გამოანგარიშებით, პირველი ორი დღის განმავლობაში მასთან მისულა დაახლოვებით 200-მდე მთხოვნელი, რომელთა შორის ქალიც ძალიან ბევრი ყოფილა. დუქმა-პურს დანატრებული, ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ იმას, რომ თითო თაბახის გადასაწერი ფასი მეტად მცირე იყო, ხოლო ზოგიერთი მათგანი მზად იყო, თაბახი ქაღალდი შაურად გადაეწერა, ოღონდ კი მათთვის გადაეცათ გადასაწერი. ეს კიდევ ცოტაა. რამდენიმე მთხოვნელმა და მათ შორის ერთმა ქალმაც, რაკი გადასაწერი ვეღარ მიიღეს, თხოვეს ბ-ნს ნ—ვს, მოგვეცით რამე „ღვთის გულისათვის, თორემ შიმშილით ვიხოცებით, ეს მესამე დღეა არაფერი გვიჭამიაო“.

ეს ფაქტი ჩვენ ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ნაკლებად უზრუნველ-ყოფილი გამხდარა დღეს რუსეთის ცოტად თუ ბევრად განათლებულ ადამიანთა („ინტელიგენტთა“) ნივთიერი მდგომარეობა *). ეს „თითქმის“ იგივე მდგომარეობაა, რომელშიაც იმყოფება დღეს უბრალო მუშა-ხალხი, მოკლებული ყოველგვარ საკუთრებას, გარდა თავისი სამუშაო ძალ-ღონისა, რომლის გაყიდვა შეადგენს მასთვის ერთად-ერთ სახსარს ცხოვრებისას. ხსენებული „ინტელიგენტებიც“ სწორედ ისეთსავე ბოგანო ხალხს წარმოადგენენ, როგორიც არის უბრალო უარარაო მუშა-ხალხი. მათაც არ აბადიათ არავითარი საკუთრება, გარდა თავიანთი სამუშაო ძალისა, ისინიც მხოლოდ თავიანთი შრომის გაყიდვით ცხოვრებენ და განსხვავება მათსა და უბრალო მუშა-ხალხის მდგომარეობას შორის მხოლოდ ის არის, რომ „ნასწავლი ბოგანო ხალხი“ უმეტესად გონებრივ შრომას ჰყიდიან, უბრალო ბოგანო ხალხი კი — ფიზიკურ შრომას. მაგრამ არც ეს განსხვავება არის არსებითი, რადგან როგორც ფიზიკური, ისე „გონებრივი“ შრომა ერთგვარად თხოულობს ენერგიის დახარჯვას.

რაც შეეხება ნასწავლი, ინტელიგენტი ბოგანო ხალხის მიერ სამუშაოს უშოვნელობს, ესეც იმავე პირობისაგან არის გამოწვეული, რომლებიც იწვევენ უბრალო ბოგანო ხალხის უმუშევრობას. საქმე იმაშია, რომ დღეს შრომის მეიდველებს, თავიანთი თანხის შემწეობით, სავსებით ხელში ჰყავთ ჩაჭერილი საკუთრებას მოკლებული შრომის გამყიდველები, ასე რომ ისინი ადვილად ახერხებენ ერთი კაცი რამდენიმე კაცის დონედ აშრომონ, ე. ი. ერთ კაცს შეასრულებინონ რამდენიმე კაცის სამუშაო. აი ამის გამო მშრომელთა ერთი ნაწილი უმუშევრად რჩება და ებრძვის შიმშილ-სიცივეს. გარდა ამისა, რადგან, ერთი მხრით, უმუშევრად დარჩენილი მშრომლები მზად არიან ყველაზე უფრო იაფად გაჰყიდონ თავიანთი შრომა, ოღონდ კი დუქმა-პური იშოვონ, და რადგან, მეორე მხრით, დღევანდელმა ცხოვრებამ ქალიც გამოიყვანა შრომის გასაყიდ ბაზარზე, ამის გამო, შრომის მეიდველები, რომლებიც მარჯვედ სარგებლობენ მშრომელთა ასეთი სამკვდრო-სასიცოცხლო კონკურენციით, ადვილად ახერხებენ კიდევ უფრო შეამცირონ და სრულიად უმნიშვნელო გახადონ სამუშაო ქირა.

## წვრილი ამბავი

—

ქალალდის ტანისამოსი. ამ ჟამად იაპონიაში ძალიან მოდაშია ქაღალდის ტანისამოსი, საგანგებო ქარხნები ამზადებენ სხვა და სხვა ფერის ქაღალდის ტანისამოსს. არიან საგანგებო მკერვალებიც კი, კაცები და ქალები, რომლებიც მხოლოდ ქაღალდის ტანისამოსებს ჰკერავენ. ეს ტანისამოსი განსხვავდება სიმსუბუქით, გამძლეობით და ძალიან იაფია. მამაკაცის სრული ტანისამოსი ჯდება არა უმეტეს 4 მანეთისა, ქალის ტანისამოსი კი, საუკეთესოდ მორთული—10 მან. რაც შეეხება თეთრეულობას, სახელდობრ, ცხვირსახოცებს, სტოლსაფრებს და ხელსახოცებს (სალფეთქებს), ამ საგნებს უკვე დიდი ხანია თითქმის მხოლოდ ქაღალდისას ამზადებენ, რომელიც ძალიან რბილია, ფერად მოყვითალოა და თითქმის რეცხვის ამტანიც კია.

*) უნდა შევნიშნოთ, რომ აღარც ჩვენებურ «ინტელიგენტების» ნივთიერი მდგომარეობაა ბევრად უფრო სახარბიელო... ტფილისში, მაგ., ამ ჟამად მრავალი განათლებული, ნასწავლი ყმაწვილია, რომლებსაც პეტერბურგელ ინტელიგენტებზე ბევრად ნაკლებად აღარ სწყურიათ ორ-სამ აბაზიან გადასაწერის შოვნა.


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის თანადასწრებით ათს აგვისტოს ამა წლისა ნაშუადღევის პირველ საათისთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქუჩაში მოწანწალე მაღლების დახოცვის, დაჭერის და მმორების გასატანად იჯარით მიცემაზე.

პირობები მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ გამგეობაში 9 საათ. დღის 1-ლ საათამდე.

(3—1)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს ტფილისის უძრავ მამულების პატრონთა საყურადღებოდ, რომ, საბჭოს ამ წლის 2 მარტის განაჩენის თანახმად, დადგენილ 1898 წლისდაფასების დამატებითი გარდასახადი მამულზედ $^1/_{16}$ %₀, რაც ჩვეულებრივის გარდასახადის $^1/_{12}$ ნაწილს შეადგენს. გარდასახადის შესატან ვადად დანიშნულია ივლისის თვე და ვინც ამ თვეში არ შემოიტანს გარდასახადს, დაჯარიმებულ იქნება დასაფასებელ გარდასახადის ვადაზედ შემოუტანლობისათვის დადგენილ დაჯარიმების წესისამებრ.

(3—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია